



International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: <http://journal.ciu.edu.ge/>

DOI: <https://doi.org/10.55367/CIML3601>



The Crises of the Westphalian State and Post-Westphalian Corporatocracy

Ioseb Mamasakhlisi ^{a1}

^a PhD Student, Caucasus International University

Dato Tabatadze ^{b2}

^b PhD in International Relations and European Studies, Associate Professor
Caucasus International University

ARTICLE INFO

Keywords:

Westphalian system
Sovereignty
Corporatocracy
Financial hegemony
Algorithmic governance

ABSTRACT

The Goal of the article is to examine the evolutionary crisis of the Westphalian state and its transformation into a Post -Westphalian corporatocracy. In the modern international political order, no longer does it completely reside in nation-states but in transnational financial and technological networks that are gaining legal and regulatory influence. The work is based on realism and neorealism theories and their statements about the role of the state in the international political system (Morgenthau, 1948) (Waltz, 1979). At the same time, it uses the theory of critical political economy, and representatives of that school of thought underline the structural characteristics of global financial power (Gill, 1995) (Strange, 1994). The work draws on qualitative research methods, such as content and comparative analyses, to examine the mechanisms by which economic power is transformed into political influence. The article represents theoretical analyses of the contours of post-Westphalian corporatocracy as a state-governing system. The results of the research show that the state retains formal legal sovereignty; however, its real autonomy is limited by the impact of global corporate and financial-technological structures.

¹ Corresponding author.

E-mail addresses: ioseb.mamasakhlisi@ciu.edu.ge (I.Mamasakhlisi).
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-9458-0056>

² E-mail addresses: Davit.tabatadze@ciu.edu.ge (D.Tabatadze).
ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8929-6721>

ვესტფალიური სახელმწიფოს კრიზისი და პოსტვესტფალიური კორპორატოკრატია

იოსებ მამასახლისი^{ა3}

^ა დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დათო ტაბატაძე^{ბ4}

^ბ საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტატიის შესახებ	აბსტრაქტი
<i>საკვანძო სიტყვები:</i> ვესტფალიური სისტემა სუვერენიტეტი კორპორატოკრატია ფინანსური ჰეგემონია ალგორითმული მმართველობა	სტატიის მიზანია ვესტფალიური სახელმწიფოს სუვერენიტეტის ევოლუციური კრიზისისა და მისი ტრანსფორმაციის ანალიზი პოსტვესტფალიური კორპორატოკრატიის პირობებში. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგი ხასიათდება ძალაუფლების ისეთი სტრუქტურული გადანაწილებით, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო თანდათან კარგავს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე ექსკლუზიურ კონტროლს, მაშინ როდესაც გლობალური ფინანსური და ტექნოლოგიური აქტორები იძენენ ნორმატიულ და მარეგულირებელ გავლენას. ნაშრომი ეყრდნობა პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის თეორიულ დაშვებებს სახელმწიფოს როლის შესახებ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში (Morgenthau, 1948; Waltz, 1979) ხოლო პარალელურად იყენებს კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიის მიდგომებს, რომლებიც ხაზს უსვამენ გლობალური ფინანსური ძალაუფლების სტრუქტურულ ხასიათს (Strange, 1996; Gill, 1995). კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას და იყენებს კონტენტ-ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდებს, რაც შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ეკონომიკური ძალაუფლება ტრანსფორმირდება პოლიტიკურ გავლენად. სტატია თეორიულად და ანალიტიკურად მიმოიხილავს პოსტვესტფალიური კორპორატოკრატიის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმის კონტურებს. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ სახელმწიფო ინარჩუნებს ფორმალურ იურიდიულ სუვერენიტეტს, თუმცა მისი რეალური ავტონომია მნიშვნელოვნად იზღუდება გლობალური კორპორაციული და ფინანსურ-ტექნოლოგიური სტრუქტურების ზემოქმედების შედეგად.

³ ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: ioseb.mamasakhlisi@ciu.edu.ge (ი.მამასახლისი).
ORCID: <https://orcid.org/0009-0008-9458-0056>

⁴ ელექტრონული ფოსტა: Davit.tabatadze@ciu.edu.ge (დ.ტაბატაძე).
ORCID: <https://orcid.org/0009-0004-8929-6721>

1. შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგი ვითარდება ისეთი სტრუქტურული ტრანსფორმაციების პირობებში, რომელთა ფონზეც სახელმწიფო თანდათან კარგავს ძალაუფლებისა და სუვერენიტეტის ექსკლუზიური მატარებლის როლს. გლობალიზაციის პროცესის ინტენსიფიკაცია, ფინანსური კაპიტალის კონცენტრაცია და ციფრული ტექნოლოგიების სისტემური ინტეგრაცია განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ფორმირდება სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებს მიღმა და ექვემდებარება ტრანსნაციონალური ფინანსური და ტექნოლოგიური ქსელების გავლენას. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა გლობალურ ფინანსურ სექტორში, სადაც აქტივების მართვის უმსხვილესი კომპანიები (ე.წ. Big Three) აკონტროლებენ მსოფლიო ფინანსური აქტივების დაახლოებით მეოთხედს, რაც მათ ანიჭებს არაპირდაპირ, თუმცა ეფექტიან გავლენას სახელმწიფოების ეკონომიკურ და რეგულატორულ პოლიტიკაზე. აღნიშნული პროცესი არსებითად ასუსტებს ვესტფალიური სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს და პრობლემატურს ხდის, როგორც ტერიტორიული სუვერენიტეტის ტრადიციულ გაგებას, ისე სახელმწიფოს რეგულაციური ავტორიტეტისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. ამ კონტექსტში საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის ფარგლებში დგება აუცილებლობა, გადაიხედოს ძალაუფლების განაწილების კლასიკური წარმოდგენები და გაანალიზდეს სუვერენიტეტის ტრანსფორმაცია იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკური ეფექტურობისა და ალგორითმული მართვის ლოგიკა სულ უფრო ხშირად განსაზღვრავს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ამგვარი ტრანსფორმაციები განსაკუთრებით მკაფიოდ აჩენს დამაბულობას სახელმწიფოს ტრადიციულ პოლიტიკურ ფუნქციებსა და გლობალური ეკონომიკური ძალაუფლების ახალ ფორმებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კვლავ რჩება საერთაშორისო სისტემის ფორმალურად აღიარებულ სუბიექტად, მისი რეალური შესაძლებლობა დამოუკიდებლად განსაზღვროს სტრატეგიული ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა მნიშვნელოვნად იზღუდება. ფინანსური ბაზრების ლოგიკა, კაპიტალის მობილობა და მონაცემთა ინფრასტრუქტურებზე დაფუძნებული მართვის მოდელები ქმნის ისეთ გარემოს, სადაც სახელმწიფო პოლიტიკა სულ უფრო ხშირად რეაგირებს უკვე ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ ფაქტებზე, ვიდრე თავად აყალიბებს მათ. შედეგად, ძალაუფლება იძენს ახალ სტრუქტურულ და არა ტერიტორიულ ხასიათს, რაც კლასიკური სახელმწიფოცენტრული მიდგომებისთვის სერიოზულ ანალიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ დისკურსში სახელმწიფოს როლი და სუვერენიტეტის მნიშვნელობა ტრადიციულად გააზრებულია რეალიზმისა და

ნეორეალიზმის ფარგლებში, რომლებიც საერთაშორისო სისტემას აღიქვამენ როგორც ანარქიულ გარემოს, სადაც სახელმწიფოები მოქმედებენ ძალაუფლებისა და გადარჩენის ლოგიკით. ამ მიდგომებში სახელმწიფო განიხილება, როგორც ცენტრალური და რაციონალური აქტორი, რომლის ქცევა განსაზღვრულია სტრუქტურული შეზღუდვებითა და ძალთა ბალანსით. თუმცა თანამედროვე გლობალური ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების ფონზე სულ უფრო აშკარა ხდება, რომ ძალაუფლების განაწილება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთა ურთიერთქმედებით. ფინანსური ჰეგემონიის, აქტივების მმართველი კომპანიების გავლენისა და მონაცემებზე დაფუძნებული მართვის პირობებში ჩნდება ძალაუფლების ისეთი ფორმები, რომლებიც ნაწილობრივ სცდება კლასიკური სახელმწიფოცენტრული ანალიზის ფარგლებს. სწორედ ამ თეორიულ დაძაბულობაზე დაყრდნობით ნაშრომი მიზნად ისახავს სახელმწიფოს ტრანსფორმაციისა და სუვერენიტეტის ცვლილების გაანალიზებას თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში.

აღნიშნული თეორიული დებატები სისტემურად არის გაანალიზებული აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიების სინთეზურ ნაშრომებში, მათ შორის პიერ დე სენარკლენისა და იოან არიფენის მიერ რედაქტირებულ გამოცემაში, რომელიც განიხილავს სახელმწიფოს, ძალაუფლებისა და გლობალური მმართველობის ტრანსფორმაციას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში (სენარკლენი & არიფენი, 2014). რეალიზმისა და ნეორეალიზმის კლასიკური თეორიები სახელმწიფოს განიხილავენ როგორც საერთაშორისო სისტემის ცენტრალურ აქტორს, რომლის ქცევა განისაზღვრება ანარქიულ გარემოში ძალაუფლებისა და გადარჩენის ლოგიკით (Morgenthau, 1948; Waltz, 1979). ამ მიდგომებში სუვერენიტეტი აღიქმება როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტური ატრიბუტი. პარალელურად, კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ გლობალური ფინანსური სტრუქტურების გაძლიერება და კაპიტალის კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს რეალურ ავტონომიას და ცვლის ძალაუფლების განაწილების ტრადიციულ ფორმებს (Strange, 1996; Gill, 1995). სიუზან სტრეინჯის მიხედვით, ფინანსური და სტრუქტურული ძალაუფლება სულ უფრო მეტად კონცენტრირდება სახელმწიფოს იურისდიქციის მიღმა მოქმედ აქტორებში, რაც სახელმწიფოცენტრული ანალიზის საკმარისობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მოცემული ნაშრომი სწორედ ამ თეორიულ დებატზე დაყრდნობით განიხილავს ვესტფალიური სახელმწიფოს ტრანსფორმაციასა და სუვერენიტეტის ცვლილებას თანამედროვე საერთაშორისო წესრიგში. ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხი მეტად აქტუალურია და საჭიროებს საფუძვლიან შესწავლას აკადემიური კუთხით.

კვლევითი კითხვა: რა გავლენა აქვს გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ სისტემას და მის აქტორებს გლობალური პოლიტიკური სისტემის მთავარ აქტორებზე სახელმწიფოებზე და

მათ სუვერენიტეტზე? კითხვა ამ ფორმით არის დასმული, რადგან ნაშრომის მიზანი არ არის სახელმწიფოს გაქრობის დადასტურება, არამედ იმ მექანიზმების ანალიზი, რომლის მეშვეობითაც ტრანსნაციონალური ფინანსური და ტექნოლოგიური ქსელები ზემოქმედებენ სახელმწიფოს რეალურ ავტონომიასა და სუვერენიტეტის პრაქტიკულ განხორციელებაზე.

ჰიპოთეზა: თანამედროვე კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის მთელს დედამიწაზე გავრცელება და უწყვეტი განვითარება მივიდა იმ ეტაპამდე, როდესაც უკვე თვითონაც საკმაოდ გარდაიქმნა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებით და ასევე მნიშვნელოვნად ცვლის საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემის მთავარ აქტორებს, სახელმწიფოებს და მათ სუვერენიტეტს.

ჰიპოთეზა ეფუძნება რეალიზმის/ნეორეალიზმის სტრუქტურულ დაშვებებს სახელმწიფოს მოქმედების შეზღუდვებზე საერთაშორისო სისტემაში და კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიის ხედვას ფინანსური ჰეგემონიის სტრუქტურული ძალაუფლების შესახებ. ემპირიულ ილუსტრაციებად გამოყენებულია აქტივების მმართველი კომპანიების კონცენტრირებული გავლენა (Big Three), ESG-ს მეშვეობით ნორმატიული რეგულირების პრაქტიკა და ალგორითმულ ინფრასტრუქტურებზე (მაგ., Aladdin) დაფუძნებული მმართველობის მექანიზმები.

2. მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა ეფუძნება თვისებრივ კვლევით დიზაინს და იყენებს კონტენტ-ანალიზისა და შედარებითი ანალიზის მეთოდებს, რაც შეესაბამება ნაშრომის მიზანს გააანალიზოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის ტრანსფორმაცია გლობალური ფინანსური და ტექნოლოგიური ძალაუფლების პირობებში. კვლევის მეთოდოლოგიური არჩევანი განპირობებულია იმით, რომ შესასწავლი ფენომენი წარმოადგენს კომპლექსურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესს, რომლის ანალიზი საჭიროებს არა რაოდენობრივ გაზომვას, არამედ მნიშვნელობების, დისკურსებისა და ინსტიტუციური პრაქტიკების ინტერპრეტაციას.

კონტენტ ანალიზის მეთოდი გამოიყენება გლობალური ფინანსური და ტექნოლოგიური აქტორების მიერ წარმოებული ტექსტების, პოლიტიკის დოკუმენტებისა და საჯარო განცხადებების შესასწავლად. ანალიზის კორპუსს წარმოადგენს მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების (მათ შორის საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების) ოფიციალური დოკუმენტები, ESG -სტრატეგიული ჩარჩოები, კორპორაციული მმართველობის პოლიტიკები, აგრეთვე შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშები და აკადემიური პუბლიკაციები. კონტენტ ანალიზის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია ისეთ კატეგორიებზე, როგორებიცაა სუვერენიტეტი, რეგულაცია,

პასუხისმგებლობა, რისკების მართვა და ნორმატიული ლეგიტიმაცია, რაც შესაძლებელს ხდის გამოვლინდეს ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ეკონომიკური ძალაუფლება იძენს პოლიტიკურ ფუნქციას.

კვლევა განხორციელდა რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე შეირჩა და გაანალიზდა შესაბამისი დოკუმენტური მონაცემები კონტენტ-ანალიზის მეთოდის გამოყენებით, ხოლო მეორე ეტაპზე მიღებული მასალა დაექვემდებარა შედარებით და თეორიულ ინტერპრეტაციას სახელმწიფოს სუვერენიტეტის ტრანსფორმაციის კონტექსტში

შედარებითი ანალიზის მეთოდი გამოიყენება ვესტფალიური სახელმწიფოს კლასიკური მოდელისა და თანამედროვე პოსტვესტფალიური პოლიტიკური წესრიგის შედარებისთვის. შედარება ხორციელდება ისტორიულ და სტრუქტურულ ჭრილში და მიზნად ისახავს სუვერენიტეტის, ძალაუფლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების ცვლილების დინამიკის გამოვლენას სხვადასხვა განვითარების ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა ასევე იძლევა საშუალებას გაანალიზდეს განსხვავება სახელმწიფოცენტრულ პოლიტიკურ სისტემასა და იმ ჰიბრიდულ მმართველობის ფორმებს შორის, რომლებიც ყალიბდება გლობალური ფინანსური ჰეგემონიისა და ალგორითმული მმართველობის პირობებში.

ნაშრომის თეორიული ანალიზი ეფუძნება პოლიტიკური რეალიზმისა და ნეორეალიზმის ძირითად დაშვებებს სახელმწიფოს როლის შესახებ საერთაშორისო სისტემაში და მათ კრიტიკულ გადახედვას კრიტიკული პოლიტიკური ეკონომიის პერსპექტივიდან. ამ თეორიული კომბინაციის გამოყენება საშუალებას იძლევა, ერთდროულად შეფასდეს სახელმწიფოს სტრუქტურული შეზღუდვები საერთაშორისო სისტემაში და ის ეკონომიკური და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც ზემოქმედებს სახელმწიფოების რეალურ ავტონომიაზე თანამედროვე გლობალურ პოლიტიკურ წესრიგში.

3. შედეგების განხილვა

3.1. სახელმწიფოს ტრანსფორმაცია გლობალურ სისტემაში

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში სახელმწიფოს ცენტრალური იდეა მკაფიოდ ჩამოაყალიბა რეალიზმმა. ჰანს მორგენტაუ და კენეტ უოლცის ნეორეალიზმი სახელმწიფოს აღიქვამდა როგორც აქტორს, რომლის ქცევა განისაზღვრება ანარქიულ სისტემაში გადარჩენის ლოგიკით (Waltz, 1979). ამ თეორიული მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო წესრიგი განიხილება სახელმწიფოთა შორის ძალაუფლების გადანაწილების შედეგად, თუმცა ეს გადანაწილება ეფუძნებოდა იმ დაშვებას, რომ მხოლოდ სახელმწიფო ფლობს ძალის კონცენტრაციასა და იურიდიულ-პოლიტიკურ ავტორიტეტს. ამ კონტექსტში მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ ვესტფალიური სახელმწიფოს წარმოშობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა, რათა გამოიკვეთოს მისი ტრანსფორმაციის ლოგიკა :

ვესტფალიური სისტემა წარმოიშვა 1648 წელს ვესტფალიის ზავის შედეგად, რომელსაც წინ უძღოდა ოცდაათწლიანი ომი ევროპაში, რომლის დროსაც ჰაბსბურგები ცდილობდნენ შეექმნათ იმპერია, რომლის ერთიანობის საფუძველი უნდა ყოფილიყო რელიგია. ამის საპირისპიროდ, მათი დამარცხების შემდეგ შეიქმნა საერთაშორისო სისტემა ძირითადად ევროპის კონტინენტზე ისეთი პრინციპებით როგორებიცაა: სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, საგარეო პოლიტიკა წარიმართებოდა სახელმწიფო ინტერესებითა და ძალთა წონასწორობით. (სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016). აი ასეთ სისტემაშია წარმოშობილი და ოპერირებს ვესტფალიური სახელმწიფო მეჩვიდმეტე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ბოლომდე, მაგრამ ამ პერიოდიდან (მეოცე საუკუნის ბოლო) იწყება ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპთან.

საფინანსო გლობალიზაციის ეპოქაში ეს დაშვება თანდათან გაუქმდა. სუზან სტრეინჯის ცნობილი ნაშრომი *The Retreat of the State* (1996) აჩვენებს, რომ სახელმწიფოს ტრადიციული ფუნქციები: ფულის კონტროლი, რეგულაცია, ვაჭრობის მართვა გადადის გლობალურ ბაზრებსა და კერძო ინსტიტუტებში (Strange, 1996). მისი მტკიცებით, „საფინანსო ბაზრები იქცნენ სახელმწიფოს ზემოდან მოქმედ არბიტრებად“. რეალიზმის პარადიგმა ვერ ახსნის ამ რეალობას, სადაც ძალა აღარ არის მხოლოდ სამხედრო რესურსების მონოპოლია, არამედ ინფორმაციის, მონაცემების და კაპიტალის დაგროვების უნარია. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აქტუალურია ედვარდ ჰალლექ კარის წინასწარი აზრი რომ „საერთაშორისო პოლიტიკა ძალასა და მორალს შორის ბალანსის ბრძოლაა“ (Carr, 1946). სწორედ ეს ბალანსი ირღვევა, როდესაც ეკონომიკური ძალაუფლება იძენს ნორმატიულ ლეგიტიმაციას. მაგალითად ESG -ს (Environmental, Social, Governance) სტანდარტების ან „სოციალური პასუხისმგებლობის“ რიტორიკის გზით.

თანამედროვე პოლიტიკურ ეკონომიკაში ამ პროცესს აღწერენ როგორც **ფინანსური ჰეგემონიის ინსტიტუციონალიზაციას**, ანუ მდგომარეობას, როცა ფინანსური კაპიტალის მფლობელობა ავტომატურად ნიშნავს პოლიტიკური წესების შექმნის უნარს (Gill, 1995). სწორედ აქედან იწყება პოსტ-ვესტფალიური ტრანსფორმაცია, რომლის ფარგლებშიც ფინანსური ინფორმაციული ქსელები ქმნიან ახალ მმართველობის მოდელს.

3.2. ფინანსური ჰეგემონია და გლობალური კორპორატოკრატია

თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ძალაუფლების ცენტრები აღარ ემთხვევა სახელმწიფოთა აღიარებულ პოლიტიკურ საზღვრებს. გლობალური ფინანსური კაპიტალის მასშტაბი იმდენად გაიზარდა, რომ ეკონომიკური აქტორები იქცნენ პოლიტიკურ აქტორებად. ბოლო 20 წელიწადში ტრილიონობით დოლარის აქტივები კონცენტრირდება

რამოდენიმე გლობალურ ფინანსურ ფონდში, რომელთა გავლენა გასცდა საბაზრო ურთიერთობების ფარგლებს.

BlackRock, Vanguard და State Street საერთო ჯამში აკონტროლებენ მსოფლიოში საჯარო ბაზრებზე განთავსებული აქციების დაახლოებით 25 პროცენტს (Fichtner, 2017). ამ მასშტაბის აქტივების კონტროლი გულისხმობს არა მხოლოდ ფინანსური, არამედ პოლიტიკური ძალის კონცენტრაციას. როდესაც ერთი კომპანია ფლობს სტრატეგიულ წილს (აქციათა პაკეტი, რომელიც მფლობელს საშუალებას აძლევს გავლენა მოახდინოს კომპანიის გადაწყვეტილებებზე) ისეთ კომპანიებში როგორებიცაა Apple, ExxonMobil ან Lockheed Martin, ის ავტომატურად ინვესტორის ფუნქციასთან ერთად ხდება გავლენის არქიტექტორი. ამგვარი სტრუქტურული ძალაუფლება ფუნდამენტურად ცვლის სახელმწიფოთა შესაძლებლობების კონფიგურაციას. თუ ადრე სახელმწიფო იყო ეკონომიკური სივრცის მთავარი არქიტექტორი, ახლა დამოკიდებულია იმ კაპიტალის მოძრაობებზე, რომლის კონტროლი თავად არ შეუძლია. გადასახადებით მიღებული შემოსავლები და სახელმწიფო ბიუჯეტი ვერ უტოლდება იმ ფინანსურ რესურსებს, რომლებსაც გლობალური ფონდები ერთი კვირის განმავლობაში მართავენ და განკარგავენ (Davies, 2014). ამერიკიდან ფინანსური კაპიტალის გადინება ჩინეთში, რასაც მოჰყვა ჩინეთის ეკონომიკური გაძლიერება, ხშირად ეწინააღმდეგებოდა ამერიკის სახელმწიფო ინტერესებს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული პროცესი განხორციელდა კაპიტალიზმის ლოგიკიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც ჭარბი კაპიტალი მუდმივად ეძებს ახალ, უფრო მომგებიან ბაზრებს.

სხვათა შორის, ამ საბაზრო ეკონომიკის ფენომენის რეგულირებას ცდილობენ ჩინეთში კანონმდებლობის მეშვეობით, მაგრამ მისი დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასება სამომავლოდ უფრო უკეთესად იქნება შესაძლებელი (Cheng, 2024).

შედეგად ჩნდება პარადოქსი: სახელმწიფო რჩება ფორმალურად სუვერენული, მაგრამ რეალურად ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობას, დამოკიდებულია კერძო ფინანსურ მექანიზმებზე. ეს ფაქტიურად სისტემური გარდატეხაა, რომელიც ორსაფეხურიანი ძალაუფლების სტრუქტურას ჰგავს. ზედა დონეზე დგას ფინანსური პლატფორმები, რომლებიც აკონტროლებენ აქტივების დინამიკას და ქმნიან საერთო ბაზრის წესებს. ქვედა დონეზე რჩებიან სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ შეინარჩუნონ ნორმატიული ავტორიტეტი, მაგრამ რეალურად მოქმედებენ დაწესებული სტრუქტურის ფარგლებში. გლობალური კორპორატოკრატიის მახასიათებელია ის, რომ მისი ლეგიტიმაცია აღარ ეხმარება პოლიტიკურ არჩევანს ან დემოკრატიულ კონტროლს. მისი ლეგიტიმაცია ეფუძნება ეფექტურობის იდეალს, იმ მოსაზრებას რომ ფინანსური ბაზარი უფრო რაციონალურია

ვიდრე, პოლიტიკური პროცესი (Gill, 2003). ამ არგუმენტებით იძენს ის მორალურ პრეტენზიას, რომელიც სახელმწიფოს ტრადიციულ სუვერენიტეტს ანაცვლებს.

ეკონომიკური ჰეგემონია გარდაიქმნა პოლიტიკური წესრიგის წყაროდ. BlackRock -ის **ალადინის პლატფორმა** (ფინანსური ანალიტიკისა და რისკების მართვის სისტემა), რომელიც მართავს ტრილიონობით დოლარის პორტფელს და აგროვებს მონაცემებს ათასობით კომპანიისაგან, წარმოადგენს არამხოლოდ საინვესტიციო სისტემას, არამედ ინფორმაციულ ინფრასტრუქტურას რომელიც აყალიბებს ბაზრის აღქმის სტანდარტებს (BlackRock, 2025). ეს ინფორმაცია გარდაიქმნება ნორმად, ხოლო ნორმა პოლიტიკად. სისტემის ამგვარი კონფიგურაცია ქმნის ახალ რეალობას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „ალგორითმული სუვერენიტეტი“. ამას აღარ სჭირდება იურიდიული საფუძველი, რადგან მისი ძალა ეფუძნება სისტემურ აუცილებლობას: კაპიტალის მოძრაობა ხდება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე უფრო სწრაფად და მოქნილად. ამიტომ სახელმწიფოები იძულებულნი არიან მოერგონ, როგორც ეკონომიკური სუბიექტები და არა როგორც პოლიტიკური ავტორიტეტები (Christophers, 2023).

3.3. ნორმატიული ტრანსფორმაცია, ESG -ალადინი და გადაწყვეტილების ძალაუფლება

ფინანსური ჰეგემონიის გამტკიცებას თან სდევს ახალი ნორმატიული ჩარჩოს ფორმირება. ამ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოები კვლავ ებრძვიან ტრადიციულ ეკონომიკურ კრიზისებს, კერძო კორპორაციებმა დაიწყეს საკუთარი ეთიკური სტანდარტების დაწესება. ESG (Environmental, Social, Governance) სტრატეგია წარმოადგენს ამ პროცესის სიმბოლურ კონცენტრაციას. მისი ოფიციალური მიზანია გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა, თუმცა ფაქტობრივად ის იქცა ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც ფინანსური ფონდები ახდენენ ეკონომიკური პროცესების ნორმატიული გავლენებისა და ქცევის მოდელირებას სახელმწიფოებრივი იურისდიქციის ფარგლებს გარეთ (Werner, 2023). როდესაც BlackRock იღებს გადაწყვეტილებას არ დააფინანსოს კომპანია, რომელიც არ შეესაბამება ESG -კრიტერიუმებს, ის მოქმედებს როგორც რეგულატორი, რომელიც არ აურჩევია არცერთ პარლამენტს ან ამომრჩეველს. ამგვარად ყალიბდება კორპორაციული კანონშემოქმედების პრაქტიკა, რომლის გავლენა ხშირ შემთხვევაში მეტია, ვიდრე საერთაშორისო შეთანხმებების ან მთავრობების ბრძანებები (Blakeley, 2021).

ლარი ფინკის (BlackRock -ის დამფუძნებელი, თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი) წერილები, რომლებიც გამოგზავნილია ათასობით კომპანიის ხელმძღვანელთან, ქმნიან ისეთ ნარატივს, რომელიც ჩამოყალიბებულია როგორც გლობალური ეთიკური დისკურსი. თუმცა დისკურსი სინამდვილეში წარმოადგენს ძალაუფლების ინსტრუმენტს, რომლითაც განისაზღვრება რა არის „სწორი“ ეკონომიკური

ქცევა და რა არა. (Fink, 2023) ამგვარი ნორმატიული ძალა ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის კლასიკურ პრინციპებს, რადგან მისი მოქმედებების არეალი განისაზღვრება არა იურისდიქციით, არამედ ქსელური კავშირებით. ალადინის პლატფორმა აგროვებს ინფორმაციას კომპანიების ფინანსურ სტატუსზე, რისკებზე, კლიმატის გავლენებზე და ქცევის ნიმუშებზე. ეს მონაცემი ხდება არამხოლოდ პროგნოზირების ინსტრუმენტი, არამედ მმართველობის ფორმა. მაგალითად, თუ ალგორითმი ასახავს, რომ გარკვეული აქტივი რისკის ქვეშაა, სისტემა ავტომატურად ამცირებს მის წილს (MacDonald, Urban, & Wójcik, 2019).

შედეგად ჩნდება „ავტომატიზირებული მმართველობა“, სადაც ნორმა აღარ არის პოლიტიკურად მიღებული შეთანხმება, არამედ ტექნოლოგიურად დადგენილი ლოგიკა. ეს მმართველობა უნაყოფოა დემოკრატიისათვის, რადგან მას არ აქვს ანგარიშვალდებულება, ამასთანავე ის ეფექტურია სტრუქტურული ძალაუფლების შენარჩუნების თვალსაზრისით. ESG -ს სტანდარტები ამგვარად იქცევა თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ -ერთ მთავარ პარადოქსად. ერთის მხრივ, ისინი ქმნიან გლობალურ ეთიკურ ინფრასტრუქტურას, რომელიც ხაზს უსვავს კლიმატურ სოციალურ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, ისინი ლეგიტიმაციას ანიჭებენ კერძო ფინანსურ გავლენას ეკონომიკურ პროცესებზე (Archer, 2024).

3.4. სუვერენიტეტის კრიზისი და პოლიტიკური შედეგები

სუვერენიტეტის კრიზისი არ ნიშნავს სახელმწიფოს გაქრობას. ეს ნიშნავს ძალაუფლების დიფუზიას, რომლის დროსაც სახელმწიფო კარგავს ექსკლუზიურ ფუნქციებს. როდესაც გადაწყვეტილებას იღებს ფინანსური ალგორითმი ან გლობალური ფონდების დირექტორთა საბჭო, სახელმწიფოს რეგულაციური უნარი მცირდება. ამ პროცესიდან ორი შედეგი გამომდინარეობს:

პირველი შედეგი **პოლიტიკური რელატივიზაცია**: სახელმწიფო აღარ აღიქმება როგორც საბოლოო ავტორიტეტი, არამედ როგორც ფინანსურ ქსელში ერთერთი ელემენტი;

მეორე შედეგია **ნორმატიული ასიმეტრია**: სახელმწიფოები ვალდებულები არიან შეასრულონ კორპორაციული სტანდარტები, მაშინ როცა კორპორაციები არ არიან ვალდებული დაემორჩილონ სახელმწიფოს ნორმებს, თუ ეს ნორმები ეწინააღმდეგება ბაზრის დადგენილ წესრიგს (Strange, 1996).

პოსტ-ვესტფალიური კორპორატოკრატიის პირობებში საერთაშორისო სასამართლო კარგავს უნივერსალურობას. როცა ნავთობკომპანიების ან საინვესტიციო ფონდების გადაწყვეტილებები განსაზღვრავს გარემოსდაცვით პოლიტიკას, ხოლო მონაცემთა პლატფორმები აკონტროლებენ ინფორმაციის ცირკულაციას. საერთაშორისო შეთანხმებები

მეორე პლანზე გადაიწევეს. შედეგად, იქმნება დეცენტრალიზირებული ძალაუფლების ქსელი, რომელიც არ ემორჩილება არც გაეროს სისტემას და არც რეგიონულ ბლოკებს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლების გადანაწილება აღარ ემყარება სამხედრო ბალანსს. იგი ეფუძნება ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ხშირად უფრო მყარია, ვიდრე ალიანსები. (Waltz, 1979) მაგალითად როდესაც, მსოფლიო ფინანსური ბაზრები მყარდება ალგორითმულ პროგნოზებზე, სახელმწიფოები იძულებული არიან შეესებამებოდნენ მათ ლოგიკას, თუნდაც ეს ეწინააღმდეგებოდეს მის ეროვნულ ინტერესებს. ეს მექანიზმი აყალიბებს იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს სტრუქტურული შიში. სახელმწიფოები უკვე მეტად ემუქრებიან ერთმანეთს არა სამხედრო გზით, არამედ ფინანსური დესტაბილიზაციის შესაძლებლობებით. ერთდღიანი ბაზრის რყევა საკმარისია ეროვნული ვალიუტის დასასუსტებლად და პოლიტიკური სტაბილურობის შესარყევად (Gill, 1995). შედეგად პოლიტიკა კარგავს სუვერენულ პრინციპებს და ემორჩილება ბაზრის ლოგიკას. ეს ლოგიკა არ არის ნეიტრალური. მას საკუთარი ღირებულებები აქვს როგორებიცაა: უწყვეტი ზრდა, მოგების ოპტიმიზაცია და რისკების მინიმიზაცია, რაც წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიულ და სოციალურ მიზნებთან (Christophers, 2023).

ამიტომ პოსტ-ვესტფალიური კორპორატოკრატია უნდა განვიხილოთ არა როგორც შემთხვევითი ეკონომიკური მდგრადობა, არამედ როგორც ახალი პოლიტიკური ფორმაცია, სადაც სუვერენიტეტი ცვლადია, ნორმა ავტომატიზირებული და პოლიტიკა ალგორითმულ ფორმას იღებს. მოცემულ ნაშრომში „კორპორატოკრატია“ გამოიყენება როგორც ანალიტიკური კატეგორია და აღნიშნავს პოლიტიკურ-ეკონომიკურ კონფიგურაციას, სადაც ტრანსნაციონალური კორპორაციები და ფინანსური ინსტიტუტები ფაქტობრივად ასრულებენ წესების შემმუშავებლისა და მარეგულირებლის ფუნქციას სახელმწიფოებრივი იურისდიქციის მიღმა. ტერმინის გამოყენება მიზნად ისახავს არა ნორმატიულ შეფასებას, არამედ იმ პროცესის აღწერას, რის შედეგადაც ეკონომიკური ძალაუფლება (კაპიტალი, მონაცემი, ინფრასტრუქტურა) ტრანსფორმირდება პოლიტიკურ გავლენად.

3.5. პოსტ-ვესტფალიური წესრიგის კონტურები

გლობალური პოლიტიკის ამჟამინდელი სტრუქტურა აღარ შეესაბამება იმ პრინციპებს, რომლებზეც დაფუძნებული იყო ვესტფალიური სისტემა. ახალი წესრიგი არა სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე ყალიბდება ძირითადად, არამედ ფინანსური ქსელებისა და კორპორაციული სტრუქტურების მიერ. ეს წარმოადგენს არაფორმალურ კონსტიტუციურ ჩარჩოს, რომლის ნორმებიც რეალურად მოქმედებს.

პოსტ-ვესტფალიური წესრიგის პირველი მახასიათებელია **მრავალშრიანი სუვერენიტეტი**. სუვერენიტეტის ამ ფორმაში სახელმწიფო ინარჩუნებს იურიდიულ ავტორიტეტს, მაგრამ პრაქტიკული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი გადაიტანება კერძო ტრანსნაციონალურ სივრცეებში. მაგალითად 2020 წელს ეკვადორის მთავრობის ვალის რესტრუქტურისაციის პროცესში ცენტრალური როლი ითამაშა BlackRock -მა როგორც უმსხვილესმა კრედიტორმა და მოლაპარაკების მონაწილემ. ამ შემთხვევაში კერძო საინვესტიციო ფონდმა ფაქტობრივად განსაზღვრა ქვეყნის ფინანსური სტრატეგიის ფორმა და ვალის პირობები, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფოებრივი იურისდიქციის გარეთ ხორციელდება (Christophers, 2023). საერთაშორისო საბანკო პოლიტიკა მონაცემთა ბრუნვა, ენერგეტიკული ინვესტიციები და ტექნოლოგიური უსაფრთხოება განისაზღვრება კერძო კომპანიების მიერ, რომელთაც აქვთ უფრო დიდი მონაცემთა ბაზის რესურსი, ვიდრე ნებისმიერ სახელმწიფოს (Bremmer, 2022).

ამ მოვლენის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია Microsoft -ისა და OpenAI -ის თანამშრომლობა აშშ -ის ფედერალურ სტრუქტურებთან 2023 -2024 წლებში, როდესაც სახელმწიფო უსაფრთხოების უწყებებმა სტრატეგიული გადაწყვეტილებები ხელოვნური ინტელექტის სფეროში კერძო პლატფორმების მონაცემებისა და ალგორითმულ ინფრასტრუქტურაზე ააგეს. შედეგად, ტექნოლოგიური სუვერენიტეტი ნაწილობრივ გადავიდა კერძო კომპანიების ხელში, რაც პოსტ -ვესტფალიური წესრიგის ტიპური მახასიათებელია (Defense, 2023).

მეორე მახასიათებელია **ალგორითმული მთავრობა**. ბაზრისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ავტომატიზაცია ქმნის მმართველობის მოდელს, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება არა პოლიტიკური კონსენსუსით, არამედ პროგრამული ლოგიკით. ეს გარდაქმნის პოლიტიკის არსს. გადაწყვეტილებები, რომლებიც ადრე ღია დებატებისა და მოლაპარაკებების საგანი იყო ახლა ხდება პროგრამულად კოდირებული და ტექნოლოგიურად გაწმენდილი პოლიტიკისგან (Zuboff, 2019).

ამ პროცესის ილუსტრირებად შეიძლება ჩაითვალოს ნიდერლანდების 2014 წლის „SyRI“ **ალგორითმული სისტემა**, რომელიც შეიქმნა სოციალური თაღლითობის აღმოსაჩენად, თუმცა შემდგომ დადგინდა, რომ მისი ქმედება იწვევდა დისკრიმინაციულ შედეგებს და არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს. ჰააგის სასამართლომ 2020 წლის 5 თებერვალს სისტემა არალეგიტიმურად სცნო (არღვევდა კონფიდენციალურობის უფლებას), რაც ნათლად ასახავს, რომ ალგორითმული მმართველობა სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღების ტრადიციულ პოლიტიკურ პროცესს ცვლის ტექნოლოგიური ლოგიკით, რომელიც ხშირად გამორიცხავს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებასა და ეთიკურ კონტროლს. გადაწყვეტილება, რომელიც ადრე პოლიტიკური და ეთიკური

განხილვის საგანი იყო, ტექნოლოგიური პროცესით იქცა ავტომატიზირებულ წესად (Christophers, 2020).

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია **ნორმატიული გადაწყვეტილება**. პოსტ-ვესტფალიურ ეპოქაში წესების შემმუშავებლები აღარ არიან მხოლოდ სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები. წესები იქმნება კორპორატიული სტანდარტების, ფინანსური კონტრაქტების და ტექნოლოგიური პროტოკოლების სახით. ისინი არ საჭიროებენ პოლიტიკურ ლეგიტიმაციას, რადგან მათ ლეგიტიმაციას თავად ბაზარი აწესებს ეფექტურობისა და მოგების არგუმენტებით (Gill, 1995). ამ ტენდენციის თვალსაჩინო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს Meta Platforms -ის (ყოფილი Facebook -ის) გადაწყვეტილება 2018 წლიდან შეექმნა „Oversight Board” ე.წ კორპორაციული სასამართლო, რომელიც განსაზღვრავს პლატფორმაზე გამოქვეყნებული ინფორმაციის ეთიკურ და სამართლებრივ საზღვრებს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ფორმალურად კერძო მექანიზმია, მისი გადაწყვეტილებები ფაქტობრივად ქმნის **ნორმატიულ პრეცედენტს** და ახდენს გავლენას გლობალურ დისკურსზე სიტყვის თავისუფლების, ცენზურისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში. ეს შემთხვევა აჩვენებს, რომ ნორმატიული ძალაუფლება თანდათანობით გადადის ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე, რომელთა სტანდარტებსა და წესებს რეალური პოლიტიკური ძალა გააჩნიათ სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებს გარეთ (Klonick, 2021).

ეს პროცესი ქმნის პარადოქსს: საერთაშორისო სამართალი, რომელიც თავიდან სახელმწიფოთა ურთიერთობების სამართლებრივ რეგულაციად იყო განსაზღვრული, თანდათან კარგავს უნივერსალურობას. სახელმწიფოები ვერ ახერხებენ გლობალური წესრიგის სტრუქტურირებას, რადგან თვითონ ჩართულნი არიან იმ ფინანსურ არქიტექტურაში, რომელიც მათ „ზემოთ” მოქმედებს. გლობალური კორპორატოკრატია იქცევა ფარდობითად ავტომატურ სისტემად, რომელიც ქმნის ახალ რეალობას. ისეთ წესრიგს, სადაც პოლიტიკის ლოგიკა განისაზღვრება ეკონომიკური ეფექტურობით, ხოლო ნორმატიული კონფლიქტები განიმუხტება საბაზრო წნეხით, და არა დიპლომატიით.

ამ წესრიგის სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს საინვესტიციო სტრატეგიების ევოლუცია. სახელმწიფოები, რომლებიც ადრე ცდილობდნენ პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას, ახლა იძულებულნი არიან მოერგონ ESG-სა და კორპორატიულ პოლიტიკებს, რათა არ დაკარგონ კაპიტალზე წვდომა. ეს გარდაქმნის საერთაშორისო ურთიერთობების ფორმულას: აღარ არის მხოლოდ „სიძლიერის ბალანსი” არამედ „კაპიტალის წვდომის ბალანსი” (Christophers, 2023). ამ პირობებში საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორებიცაა IMF, მსოფლიო ბანკი ან გაერო, აღარ არიან გადაწყვეტილების მთავარი არხები. ისინი ფუნქციონირებენ როგორც შუამავლები იმ ეკონომიკურ დინამიკაში, რომელიც

განსაზღვრება კერძო ფინანსური სისტემებით. ამგვარად პოლიტიკა კარგავს თავის ავტონომიას და ხდება ფინანსური არქიტექტურის ქვეპროდუქტი (Strange, 1994).

ეს კი ნიშნავს, რომ პოსტ-ვესტფალიური წესრიგი არ არის მხოლოდ სახელმწიფოების კრიზისი, ის ასევე სუვერენიტეტის კონცეფციის ტრანსფორმაციაა. ძალაუფლება აღარ არის განსაზღვრული ტერიტორიული საზღვრებით, არამედ ეკონომიკური ქსელებითა და ინფორმაციული კონტროლით. ვისაც აქვს მონაცემები, ფინანსური ალგორითმი და გლობალური კავშირი, ის ფლობს თანამედროვე სუვერენიტეტს (Castells, 2000).

4. დასკვნა

ვესტფალიური სახელმწიფოს კრიზისი არ არის დროებითი ან შემთხვევითი მოვლენა. ეს არის გლობალური სისტემის გარდაქმნის შედეგი, რომელიც წარმოიშვა ფინანსური და ტექნოლოგიური ქსელების გაერთიანებით. სახელმწიფოს ტრადიციული ფორმა ვერ უმკლავდება იმ სტრუქტურულ გამოწვევებს, რომლებიც მოდის ტრანსნაციონალური კაპიტალისაგან. პოსტ-ვესტფალიური კორპორატოკრატია წარმოადგენს ძალაუფლების ახალ ფორმას ან ტერიტორიულ კონტროლს. მისი რესურსები არის მონაცემები, ფული და ნორმატიული ნარატივი. ეს სისტემა ამართლებს საკუთარ არსებობას ეფექტურობის, ინოვაციისა და გლობალური პასუხისმგებლობის იდეოლოგიით, თუმცა სინამდვილეში ის აუქმებს დემოკრატიულ ანგარიშვალდებულებას და ზღუდავს პოლიტიკის ავტონომიურობას.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით ეს გარდატეხა მოითხოვს ახალი კატეგორიების შექმნას. სახელმწიფოს სუვერენიტეტი უნდა განისაზღვროს არა როგორც ტერიტორიული მონოპოლია, არამედ როგორც უნარი მოახდინოს გავლენა იმ ფინანსურ და ინფორმაციულ არქიტექტურებზე, რომლებიც განსაზღვრავენ გლობალურ წესრიგს. ვისაც არ შეუძლია მონაცემების და კაპიტალის მართვა, მას აღარ აქვს პოლიტიკური ავტორიტეტი (Waltz, 1979). ამ პროცესის შედეგია სტრუქტურული იერარქია, სადაც სახელმწიფოები თანდათან იქცევიან კორპორაციული სისტემის შიდა ერთეულებად. მათზე მოქმედებს ფინანსური წესრიგის ნორმები ისე, როგორც ოდესღაც საერთაშორისო სამართალი ზღუდავდა ძალის გამოყენებას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს წესრიგი არ არის შეთანხმებით მიღებული, ის უბრალოდ არსებობს, როგორც ეკონომიკური აუცილებლობა (Fichtner, 2017).

პოლიტიკური თეორიის ამოცანაა გაანალიზოს არამხოლოდ ძალაუფლების ახალი ფორმები, არამედ ის ღირებულებებითი სივრცე, რომელიც მათ ემსახურება. პოსტ-ვესტფალიური კორპორატოკრატია გვაიძულებს ისეთი მცნებების გადახედვას როგორებიცაა: ავტონომია, პასუხისმგებლობა და სამართალი. სანამ ეკონომიკური

აქტორები დარჩებიან პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე დომინანტი, სახელმწიფოს აღდგენა სრულ სუვერენულ ფორმაში შეუძლებელი იქნება. შესაბამისად, მომავალი საერთაშორისო წესრიგი იქნება შერეული: სახელმწიფოს ფორმალური არსებობა შენარჩუნდება, მაგრამ რეალური მმართველობა დარჩება ფინანსური, ტექნოლოგიური ქსელების ხელში. ამასთან, წინამდებარე კვლევა არ ისახავს მიზნად მიმდინარე პროცესების საბოლოო შედეგის პროგნოზირებას; მისი ამოცანაა სახელმწიფოცენტრისტული ტენდენციებისა და კორპორაციულ-ქსელური მმართველობის თანაარსებობის განმაპირობებელი მექანიზმების ანალიტიკური ახსნა. ეს არის XXI საუკუნის ძალაუფლების ძირითადი პარადოქსი - პოლიტიკა შენარჩუნებულია ფორმით მაგრამ დაცლილია შინაარსისაგან (Christophers, 2020).

ბიბლიოგრაფია

1. სენარკლენი, პ. დ., & არიფენი, ი. (2014). საერთაშორისო პოლიტიკა (მეხუთე გამოცემა ed.). თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. (2016). ვესტფალიის სისტემა. Retrieved ნოემბერი 16, 2025, from ლექსიკონი -ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: <https://dictionary.css.ge/content/westphalian-system>
3. Archer, M. (2024). Governing through ESG. *A Economy and Space*, Vol. 56(2) , 662–. doi:10.1177/0308518X231156611
4. BlackRock. (2025, November 21). BlackRock, Aladdin: Portfolio Management Platform Overview. Retrieved November 21, 2025, from [BlackRock](#)
5. Blakeley, G. (2021, January). Retrieved from the Tribune.
6. Bremmer, I. (2022). *The Power of Crisis: How Three Threats—and Our Response—Will Change the World*. New York: Simon & Schuster.
7. Carr, E. H. (1946). *Twenty Years' Crisis 1919-1939*. London: Macmillan & Co. Ltd.
8. Castells, M. (2000). *The Rise of the Network Society*. Oxford: Blackwell.
9. Cheng, E. (2024, September 5). China's wealthy are increasingly looking overseas for business investment opportunities. Retrieved November 16, 2025, from [CNBC](#)
10. Christophers, B. (2020). *Rentier Capitalism: Who Owns the Economy, and Who Pays for It?* London: Verso.
11. Christophers, B. (2023). *Our Lives in Their Portfolios: Why Asset Managers Own the World*. London: Verso.
12. Davies, W. (2014). *The limits of neoliberalism: Authority, sovereignty and the logic of Competition*. London: Sage Publications LTD.
13. Defense, U. D. (2023). *Responsible AI Strategy and Implementation Pathway*. U.S. Department of Defense.
14. Fichtner, J. (2017). Hidden power of the Big Three? Passive index funds, re-concentration of corporate ownership, and new financial risk†. *Business and Politics*, 298–326. doi:10.1017/bap.2017.6
15. Fink, L. (2023, March 17). Larry Fink's Annual Chairman's Letter to Investors. Retrieved November 22, 2025, from [Harvard Law School Forum on Corporate Governance](#).
16. Gill, S. (1995). Globalisation, Market Civilisation and Disciplinary Neoliberalism. *Journal of International Studies*, 399-423. doi:10.1177/03058298950240030801
17. Gill, S. (2003). *Power and Resistance in the New World Order*. New-York: Palgrave Macmillan.
18. Klonick, K. (2021). The Facebook Oversight Board: Creating an Independent Institution to Adjudicate Online Free Expression. *Yale Law Journal*, 1950–1975. doi:10.1017/9781009071215.006
19. MacDonald, K. D., Urban, M., & Wójcik, D. (2019). Asset management as a digital platform industry: A global financial network perspective. *Geoforum*, 106, 167-181. doi:10.1016/j.geoforum.2019.10.010

20. Morgenthau, H. J. (1948). *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. New York: Alfred A. Knopf.
21. Strange, S. (1994). *States and Markets*. London: Pinter.
22. Strange, S. (1996). *The retreat of the state*. Melbourne: Cambridge University Press.
23. Waltz, K. N. (1979). *Theory of International Politics*. Massachusetts: Addison-Wesley Publishing Company.
24. Werner, M. S. (2023). Governing through ESG: Ethical Finance and Political Authority. *Global Political Economy Review*, 54–72.
25. Zuboff, S. (2019). *The Age of Surveillance Capitalism*. London: Profile Books.